№ 60. 21 მარტი, კვირა. 1866—1882 21 მარტი, კვირა. № 60.

**რედაქცია**
გოლოვინის პროსპექტზედ, ივ. მუხრანსკის სახლებ-[illegible] ქვემოთ

**ხელის-მოწერა**
მიიღება თფილისში „დროების" რედაქციაში, ქუთაისში ჭოლაშის (გერარდის) წიგნის მაღაზიაში. გარეშე ხელის-მომწერებისათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба".

„დროების" ფასი:
ერთის წლისა . . . 9 მან. | სამის თვისა . . . 3 მან.
ექვსის თვისა . . . 5 მან. | ერთის თვისა . . . 1 მან.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

**ფასი განცხადებისა**
დიდი ასოებით, ასოზე 1 კაპ., [illegible] ასოზე ნახევარი კაპ., ჩვეულებრივის [illegible] ზე მეტი.
თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდელ წერილს რედაქცია ფოსტით ვერ დაუბრუნებს ავტორს.
განცხადებანი მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.
ქუთაისში განცხადება მიიღება ჭოლაშის წიგნის მაღაზიაში.

ცალკე ნომერი „დროებისა" ღირს ერთი შაური.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს, 21 ამ თვისა,
საღამოს 8 საათზედ
არწრუნის თეატრში
**თ. აკაკი რ. წერეთელი**
წაიკითხავს პირველ ლექციას ქართველ ქალებზედ.
შინაარსი: რამდენიმე სიტყვა საზოგადოდ ძველი დროს ქართველ ქალებზედ.—მათის გმირულის მოქმედების მაგალითები მოკლედ და ვრცელი საუბარი თამარ მეფეზედ.
ფასი ჩვეულებრივი.
ბილეთები ისყიდება თეატრის კასაში. (2—2)

## ტელეგრამმა

(„ჩრდილო-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი")

პეტერბურღი, 19 მარტს. „მმართველობის მოამბეში" დაბეჭდილია: ამ ტერორისტებში (პოლიტიკურ დამნაშავეებში), რომელთა შესახებ სასამართლომ დასდო თავის განჩინება, ერთმა — კლეტოჩნიკოვმა — შეიტანა კასაცია, რომელიც განიხილეს და უყურადღებოდ დასტოვეს. პატიობის თხოვნა ზოგიერთებმა შემოიტანეს თვითონ და ზოგიერთების ნათესავებმა. იუსტიციის მინისტრის მოხსენებით, ხელმწიფე იმპერატორმა ორს ამათგანს შეუმცირა სასჯელი: ფროლენკოს 10 წლის კატორგა და ლიუსტიგს 4 წლით. დანარჩენებს, გარდა სუხანოვისა, რომელთაც სასამართლოსაგან სიკვდილით დასჯა ჰქონდათ გარდაწყვეტილი, ხელმწიფე იმპერატორმა მიანიჭა სიცოცხლე და გარდაუწყვიტა სამუდამო კატორგა; სუხანოვი კი, ჩამოდრჩობის მაგიერ, უნდა დაიხვრიტოს, 19 მარტს.

ოდესსა, 19 მარტს. ზღვის ნაპირა ბულვარზე რევოლვერით მოჰკლეს კიევის სამხედრო სასამართლოს პროკურორი დენერალი სტრელნიკოვი, რომელიც საპოლიტიკო საქმეების გამოძიებას ადევნებდა თვალ-ყურს. ამ საქმის გამო ორი კაცია დაჭერილი; ამათ დაჭერის დროს სამი კაცი დაიჭრა. დაჭერილები თავის სახელსა და გვარს არ აცხადებენ; ორივე ახალგაზდება არიან 20-25 წლისა.

პეტერბურღის ბირჟა, 18 მარტს.

| ბანკის ბილეთები: | მან. კაპ. | |
|---|---|---|
| პირველი გამოცემისა— | 95—50½ | |
| მეორესი— — — — | 91—25 | |
| მესამესი— — — — | 91—50½ | |
| მეოთხესი — — — | 90—87½ | |
| მეხუთესი — — — | 90—50 | |
| აღმოსავლეთის პირვ.— | 90—37 | |
| აღმოსავლეთის მეორე | 90— 5 | |
| აღმოსავლეთის მესამე | 90— 5 | |
| ოქრო, ½ იმპერიალი | 8—13 | |
| შინაგანის 5% სესხი ბილეთები: | | |
| პირველი სესხის— — | 216—75 | |
| მეორე სესხის — — | 211— 5 | |
| 100 მანეთი ღირს: | | |
| ლონდონი — | 24—12 | პენსი |
| ჰამბურღი — | 206—37 | ცენტი |
| პარიჟი — — | 255— „ | სანტიმი |
| ბერლინი — | „ — „ | პფენიგი |

## ჩვენებური კონცერტები

კონცერტი და კონცერტი!.. ამისმეტს ველარაფერს გაიგონებ ამ ჩვენს ქალაქში, ველარაფერს დაინახავ.

მერე რა კონცერტები? ვინ გინდათ, რომ ამ კონცერტებზედ არა ნახოთ? სამსახურიდგან გამორიცხული ჩინოვნიკი, კინტოა, რომელსაც ესარის ეხლა გაუყიდნია შამაია და გამოთავისუფლებულია მოსული „თამაშას" საყურებლად მელში ამოგანგლული შულერი, რომელსაც სურვილი აქვს გაბერტყის შემდეგ საზოგადოების ტაშის კვრაში იპოვოს დამშვიდება და სხვ. და სხვ.

ათობით ჰხვდებით ბულვარზე სხვადა-სხვა გვარს ქალებს, რომელთაც უკან გამოჰკიდებიან, ჯერედ ნორჩი მოსწავლე ქალები თუ ვაჟები, დარბიან და ყველას, ვინც შეხვდებათ, ძალათი აჩეჩებენ ხელში ბილეთს. და მოგეხსენებათ ჩვენი ხალხის ხასიათი, უარს ვერ უთქვამს ამ მთხოვარეებისათვის. ისინი სარგებლობენ იმით, რომ კონცერტებით შეძენილ ფულებს ვითომც საქველ-მოქმედო დანიშნულება აქვს და მაშასადამე საზოგადოება ვალდებულია უყუროს და ყური უგდოს სცენაზედ არტისტებათ გამოყვანილ კინტოთ ღრიალს და თამაშს და ამისთვის ბლომად ფულები აძლიონ.

რასაკვირველია, ჩვენი საზოგადოების ისეთი მსხვერპლი, ბევრჯელ შეძლებაზედ ბევრად გადაჭარბებული შემწეობა თავიანთ მოსწავლე მოძმეთა სანაქებოა და ჩვენ თავის დღეში ამის წინააღმდეგ ხმას არ ამოვიღებდით, უკეთუ ამ გვარად მოგროვილი ფული პირ-და-პირ თავის დანიშნულებას ასრულებდეს; მაგრამ, როდესაც გათხოვება ვისმე მოუნდება, ანუ ქალაქში თამაში, გაარშიყება რომელისამე კაცისა, ან საჩუქრის მირთმევა რომელისამე აქტიორისათვის, თუ „ნოვი-სვეტ"ში გასეირნება, კინტოების ვალის გადახდა, თუ სახლის

---

(„დროების") ფელეტონი, 21 მარტი.

## „შინაური მიმოხილვა"

„ივერია", 1882 წ. № 1.

ამ ჟამად მე მინდოდა დამეწყო „ივერიის" გარჩევა თავიდგან, მაგრამ ერთმა გარემოებამ შემაცვლევინა ეს აზრი და გადამახტუნა სულ უკანასკნელის „შინაურის მიმოხილვის" გარჩევაზედ. ქ-ბ. ეკ. გაბაშვილისა „კონა" გახლდათ ამის მიზეზი. დიახ, მე მინდოდა ყველაზედ უწინ გამერჩია ეს „კონა", მაგრამ, რადგანაც ქალი საზოგადოდ უფრო მგრძნობიარეა, ვინემ კაცი და შესაძლო იყო ჩემს წერილს ცუდი შთაბეჭდილება მოეხდინა მასზედ, მეტადრე, ამ გაზაფხულის პირზედ, როდესაც ყოველი სულ-დგმული სიცოცხლის ძალებს იმატებს და, უეჭველია, ქ-ბ. ეკ. გაბაშვილის მწერლობის ნიჭიც იმატებს და იქნება უფრო კარგი რამე დაგვიწეროს ვინემ „კონა"; ამისთვის თავი დავანებე ამ მოთხრობის განხილვას და მოვექეცი „ივერიის" ბოლოს ნაწერზედ.

ერთი მიზეზიც ამ ბოლოს მოქცევისა ის იყო, რომ ეს „შინაური მიმოხილვა", რალაც დიდებით არის რედაქციის მხრით დაბეჭდილი: რედაქციას თითქოს ძალიან უხარიან, რომ ამ მიმოხილვას ეღირსა დაბეჭდვა.

შევუდექ ამ „მიმოხილვის" განხილვას, მაგრამ, სწორე მოგახსენოთ, ყველაზე ბევრი იმაზე ვიფიქრე, თუ საიდამ უნდა დამეწყო ეს განხილვა ბოლოდგან თუ თავიდგან. ბოლოს გადავსწყვიტე ორივესთვის თავი დამენებებინა და შუადგან დამეწყო. ამისთვისაც ნურას უკაცრაოდ, თუ ამ მიმოხილვის შინაარსის გადმოუცემლად მე პირ-და-პირ შემდეგ ადგილს ამოვსწერ და მისს გარჩევას შევუდგები:

„ზოგიერთს ჩვენებურს ვაჟ-ბატონებს რომ ჰკითხოთ, ყოველი ადამიანი დედის მუცლიდგანვე პატრიოტიაო, რადგანაც სამშობლოს სიყვარული ყველას ბუნებითვე თანა ჰყვება და ამიტომ ამ გრძნობის აღზრდაზედ ზრუნვა რა საჭიროაო. ეს რო მართალი ყოფილიყო, დედა-მიწის ზურგზედ უბედურს კუთხეს სანთლითაც ველარ იპოვიდით, ყოველი ქვეყანა, დიდი, თუ პატარა, კეთილ-დღეობით სავსე იქნებოდა. საუბედუროდ, ბუნება პატრიოტობაზედ სრულიად არა ზრუნავს. იგი ჰბადავს არა საზოგადოებას, არამედ ინდივიდუმას, ცალკე პირს და არსებობის დაცვისთვის მას ანიჭებს ეგოიზმს, თავის თავის მოყვარეობას".

აი, ჯერ-ჯერობით ამ ამოწერილის ადგილის განხილვას უნდა შევუდგეთ. გარეგნობით ეს ფრაზები მშვენიერი რამეა, მაგრამ შიგნით რომ ჩაიხედოთ, შეცდომის მეტს ვერას დაინახამთ. ის აზრი, რომ „თავის ერის და სამშობლოს სიყვარულს ბუნება უნერგს კაცსო, სრულებითაც არა თხოულობს ამ ნაირს დასკვნას: „მაშა სადამე მის აღსაზრდელათ ზრუნვა რა საჭიროაო". ეს დასკვნა არავითარ დამოკიდებულებაში ზემო აზრთან და ცოტაც არის ცილის-წამებაა იმ პირებზედ, რომელნიც ადგანან ზემო აზრს. მაგ. მე თვითონ იმ აზრისა ვარ, რომ ბუნებითვე აქვს კაცს ეს გრძნობა, მაგრამ, ამ მიზეზით უარს კი არა ვყოფ, რომ ამ გრძნობას გაღვიძება, გაწვრთნა და აღორძინება ეჭირება. მგონი „შინაურის მიმოხილვის" ავტორმა ვერც მიპოვოს ჩვენს მწერლობაში ვისიმე ნაწერი, სადაც ეს აზრი უარ-ყოფილი იყოს. ეს ორივე აზრნი არამც თუ ერთმანეთს ეწინააღმდეგებოდენ, პირ-იქით ერთმანეთისთვის აუცილებელს საჭიროს შეადგენენ. აი რათა: თუ კაცს გალობის ნიჭი არა აქვს, რაც გინდ ბევრი ეცადოთ თქვენის აღზრდით, მაინც მუსიკოსს ვერ გამოიყვანთ, აქ საჭიროა—ბუნებითი მიდრეკილება ჰქონდეს მუსიკობისა; თუ კაცს მოხელეობის ნიჭი არა აქვს, რაც უნდა ბევრი იცოდეს, მაინც რიგიანი მოხელე ვერ იქნება; თუ კაცს მწერლობის ნიჭი არა აქვს, თუნდ აილოთ და მთელი მეცნიერება თავში ჩაუდოთ, მაინც კარგი მწერალი ვერ გახდება; თუ მწერალს პოეტობის ნიჭი არა აქვს, უბრალო ლექსთ მთხზველს ვერ გასცილდება; თუ ცხენს იორღის ცოდნის ჯიში არა აქვს, რაც გინდ ბევრი წვრთნა, მაინც რიგიანი იორღა არ გამოვა. ამისთვისაც ვხედავთ, რომ დათვი ფრენას ვერ სწავლობს, თევზი ორღობეებში სიარულს და ბუნებისაგან სამშობლოს სიყვარულის ნიჭ-მოკლებული—სამშობლოს სამსახურს.

მაგრამ, რაც უნდა იყოს, „შინაურის მიმოხილვის" ავტორი უარს ჰყოფს კაცში სამშობლოს სიყვარულის და თავის ხალხისას და საჭირო

ქირის გასწორება,—ყველა ეს პირები საზოგადოებას ვალდებულად ხედავენ, რომ საჭირო ფული მოუგროვოს და ამ გვარად დალუპილს ფულს-კი საქველ-მოქმედოს ეძახიან!

ჩემი სიტყვების დასამტკიცებელად ავიღოთ ერთი წარსული კონცერტის ისტორია. შემოსავალი ამ კონცერტისა, როგორც „დროების“ 59 №-ში არის ნაჩვენები, იყო 502 მან. და 20 კ. (ზესმისთ! 20 კაპ.-კი მოყვანილია!), ზასავალი-კი 279 10 კ. (ათი კაპეიკიც!) წმინდა შემოსავალი დარჩენილა 223 მ. და 10 კ. (!)

ჯერ ყველაზედ უწინ ჩვენის გვაკვირვებს, რომ რაზედ უნდა დახარჯულიყო კონცერტის გასამართავად 279 მ. 10 კ., მაშინ როდესაც ჩვენ ქართულს წარმოდგენებზედ, როდესაც ხარჯი ერთი-ორად მეტი მიდის, სანამ კონცერტებზედ, თავის დღეში არ დახარჯულა 180 მანეთზედ მომეტებული და ამ კონცერტის მოთავეებმა როგორ მოახერხეს მაგოდენის დახარჯვა?..

აქ კიდევ შეიძლება კაცმა იფიქროს, რომ უთაურს მოთავეებს, რომელთაც ხარჯისა არა ესმისთ-რა, შეეძლოთ მეტი დაეხარჯათ, თუმცა საზოგადო საქმეები, ვინც თავზედ იღებს ისეთს საქმეში რიგის მიცემას, რაც არ გაეგება, არც უნდა მოჰკიდოს ხელი, თუ პატიოსნება აქვს; მაგრამ შემოსავალი 223 მან. 10 კაპ. რაღა იქნა. მე ამის დამწერმა ზედ მიწევნით ვიცი, რომ ეს ფული ოთხათ უნდა გაყოფილიყო და დარიგებოდა ღარიბ გიმნაზისტებს, მაგრამ იმათგანმა მხოლოდ ერთმა მიიღო 20 მან, და დანარჩენებს ესეც არ მიუღიათ. ისიც ზედ მიწევნით ვიცით, რომ მოსაგროვებელი ფული დარიგებული ბილეთებისა, მხოლოდ ექვს თუმნამდინ დარჩენილა.

საინტერესო იყო, რომ ამ კანცერტის გამმართველებს დაწვრილებითი ანგარიში წარმოედგინათ, რადგანაც მომეტებული წილი ვინც კისრულობს ამ კონცერტებზედ გამოსვლას, მხოლოდ იმიტომ გამოდის, რომ მართლა ღარიბ მოწაფეთ დაეხმაროს და არა იმისთვის, რომ კონცერტანტების შრომით და საზოგადოების გულკეთილობით მოგროვებული ფული ბანქოში წაიგოს, ანუ ფაიტონებზედ დაიხარჯოს...

ს. მ.

## დღიური

დღეს, კვირას, დილის 9 საათზე მთავარ-მმართებლის თ. დონდუკოვ-პორსაკოვისაგან მიწვეული არიან სასახლეში ყველა წარმომადგენლები ადგილობრივ სტამბისა, ე. ი. ყველა რედაქტორები ქართულ რუსულ სომხურ და თათრულ გაზეთებისა და ჟურნალებისა.

***

ქუთაისის, შორაპნის და რაჭის მაზრების თავად-აზნაურთა წინამძღომელნი გაზეთს „კავკაზში“ დაბეჭდილის განცხადებით სთხოვენ ხსენებულ მაზრების თავად-აზნაუთა წარუდგინონ მარშლებს მოწმობა და საბუთები იმ ქონებით უფლებისა, რომელიც ნებას აძლევს სათავად-აზნაურო საქმეებში და კენჭის-ყრაში მონაწილეობის მიღებას და აგრეთვე მობრძანდნენ 7 აპრილს ქუთაისის დეპუტატთა კრებაში სამაზრო კრების გასახსნელად.

გასაკვირველია, რატომ ეს წინამძღომელნი მარტო რუსულად აცხადებენ ამას და რატომ საჭიროდ არა ხედვენ, რომ ქართველ თავად-აზნაურთა ქართულად ქართულის გაზეთების საშუალებით გამოუცხადონ და აცნობონ, რაც გამოსაცხადებელი და საცნობელი აქვთ?!...

***

უცაბედი, თუ განზრახ თავის-მკვლელობა გახშირდა ჩვენს ქალაქში. ამ უკანასკნელ ერთის კვირის განმავლობაში სამი ამისთანა უბედური შემთხვევა მოხდა.

გაელიდ შაბათს ნანგით მოიწამლა თავი თფილისს სახელოსნო სასწავლებლის მასწავლებლის ბ. სეკავინის ცოლმა. ამბობენ, ღამე ძილი არა ჰქონდაო, ნანგს იღებდაო და, ალბათ, იმ ღამეს რო წვებოდა დასაძინებელად, ერთობ ბევრი მოუვიდა და დილას რომ ნახეს, საუკუნოდ მიძინებული დახვდათ საწყალი.

მეორე შემთხვევა მთა-წმინდაზე ამ დღეებში: ერთმა ახალგაზდა კაცმა (ვინაობა ჯერ არ გამოცხადებულა) დაბლაგული დანით გამოიჭრა ყელი და მეორე დღეს მკვდარი ნახეს ოთახში.

მესამე ყველაზე უფრო შესაძრწუნებელი შემთხვევა გუშინწინ პარასკევს მოხდა სოლოლაკზე: ერთი ტოლლეს მაღაზიაში მუშა—მკერავი ახალგაზდა, სულ 17—18 წლის, ქალი—ს. მ—ძისა, უეცრად მოკვდა. როგორც ამბობენ, ამის სიკვდილის მიზეზი ის არისო, რომ წინა დღით მუცლის გასაცუდებელი წამალი მიიღო და იმისაგან მოიწამლაო.

რიგია, რომ სასამართლომ ... გამოიძიოს ეს უკანასკნელი ... და თუ მართალი აღმოჩნდა, სას... უნდა დაისაჯოს ის საძაგელი არ... რომელიც ამისთანა მხეცურ ხელო... ჰკისრულობს.

ამას წინათაც იყო ჩვენს გაზე... გამოცხადებული, რომ თფილ... რამდენიმე დედაკაცია, რომელნიც ... ხელობას სჩადიან, მუცელს უც... ბენ ქალებს,—და დროა სასამა... ლომ და პოლიციამ ჯეროვანი ... რადღება მიაქციოს ამ გარემოებ...

***

ამ გვარ შემთხვევებში იმერეთი ... ველთვის გადააჭარბებს ქართლ-კახე... როგორც იქაურს გაზეთს „შრომა“... იწერებიან, სოფ. ქულაშში გამო... ნილა ერთი ვიღაც გლეხი არიშ... რომელიც ჩემულობს თურმე, ... უშვილოს შვილს ვაყოლებო! და ... ვის წამლის ფასად ხუთი თუმანი ... უნიშნავს.

გასაკვირველი ეს არისო, რომ ... თუ გლეხები ბრიყვდებიან ამ მატყუ... რა გლეხის წამლით, თვით თავადე... და აზნაურებიც კი უჯერებენ ამ... სო.

***

ფოთიდამ გვწერენ, რომ ამას წ... ნათ აქ ერთი ფოკუსნიკი (თვალ... მაქცი) ჩამოვიდაო და კვირას (7 მარ... გამართა საღამოვო. მაგრამ ამაზე უ... თესი თვალთ-მაქცობა ამის კასი... ჩაიდინაო. გაჰყიდა თუ არა ყვე... ბილეთები, მოუსვა ფულებს ხელ... ჩაიდვა ჯიბეში და კაცმა არ იც... სად გაჰქრა: დედა-მიწამ ჩაყლაპა, ... ჰაერში გაფრინდაო, რომ იმ კასი...

---

გავჩხრიკოთ, რაზედ აფუძნებს ამ თავის აზრს.

მისს საფუძველს შეადგენენ შემდეგნი მოსაზრებანი:

ა) კაცები რომ პატრიოტები იყვნენ ბუნებითვე, ქვეყნიერეზაზედ უბედური კუთხე აღარ მოიპოებოდაო;

ბ) კაცსა აქვს ბუნებისაგან მინიჭებული მარტო ეგოიზმი და ის იბრძვის მარტო თავის-თავის დაცვისათვისო.

აი ეს ორი აზრი აქვს საძირკვლად თავის შენობისთვის და იმედია, რომ თუ ეს საძირკველი დაუნგრიეთ შენობა თავის-თავად ჩამოწვება. ავიღოთ რომ ყველა ადამიანი პატრიოტია ბუნებით. მითომ რათა ჰგონია მწერალს, რომ მარტო ეს გრძნობის ქონა იყოს ბედნიერების ჩამოსაგდებად ქვეყანაზე საკმაო? შეიძლება რომ ქართველები სულ პატრიოტები იყვნენ, მაგრამ კეთილ-დღეობა კი მაინც ვერ იშოვონ. ავტორი გვიჩვენებს, რომ ჩვენ ძველდროს ბევრი მამულის შვილები გყვანდნენ, მაგრამ, განა ძველად ნაკლებ ტანჯვაში ვიყავით? შეიძლება ყველა იმ ბერებს, რომლების რწმუნებით კაცობრიობის ბედნიერება მაშინ იქნებოდა, როცა არცარავინ მოჰხნავდა, არც დასთესდა, არც მომკიდა, მაგიერად იცხოვრებდნენ როგორც თევზნი ზღვისანი და მფრინველნი ცისანი პატრიოტები უწოდოთ, მაგრამ მათი წადილი რომ ასრულებულიყო, განა მართლა კაცობრიობა ბედნიერებაში ჩავარდებოდა.

შეიძლება კიდევ ბევრ გვარის მაგალითების მოყვანა ამ საგანზედ, მაგრამ, მგონი, ესეც საკმარისია, რომ ასე მჭიდროდ შეკავშირებულად არ გვეჩვენებოდეს „მამულის შვილობა და მამულის ბედნიერება“.

აქ კიდევ ბევრი სხვა რამეა საჭირო.

პატივცემული მწერალი უეჭველად მიპასუხებს, რომ ჩემი პატრიოტი და მამულის-შვილი არც ერთს შენს მამულის-შვილს არ წაჰგავსო და თქვენი მაგალითები სრულიად არ უდგებიანო. დიახ, მართალია, თქვენს იდეალურს პატრიოტს შორის და ჩემებს, ცხოვრებიდგან ამოღებულებს, შორის გარჩევა არის, მაგრამ ეს გარჩევა ყველაზედ უფრო ცხადად გვაჩვენებს, რომ თვით პატრიოტობა, ისე, როგორც თქვენ გვიხატავთ, სხვა რამეზედ ყოფილა დაფუძნებული და მაშასადამე, სანამ კაცობრიობა არ ჩაიგდებს ამ საფუძვლებს, მანამ ბედნიერებას ვერ ეწევა.

მეორე აზრი, ვითომც კაცი მარტო ეგოიზმით, თავ-მოყვარეობით იბადებოდეს და იცვავდეს თავს მარტო ინდივიდუალურის ბრძოლით, შემცდარია პირველზედ ერთი-ორად უმეტესად, ანუ უკეთ ვსთქვათ, ნახევარი ჭეშმარიტებაა და ნახევარი ტყუილი. შემცდარია იმაში, რომ მითომ მარტო ინდივიდუალური ანუ პიროვნული ბრძოლა და მარტო ეგოიზმი იყოს ბუნებაში, და მართალია იმაში, რომ ეს ბრძოლა და ეგოიზმი არის ბუნებაში. ბუნებაში მარტო პიროვნული ბრძოლა კი არ არის, ზოგადიც ანუ კოოპერატიულიც არის. და როგორც პირველი ბრძოლა იწვევს კაცში მარტო თავის თავის მოყვარებას, აგრეთვე მეორე გვარი ბრძოლა იწვევს სხვის სიყვარულს და პატივისცემას. მე უარს არ ვყოფ, რომ კაცი იბადებოდეს ევოიზმით, მაგრამ იმ აზრისაც ვარ, რომ კაცს აქვს ალტრუიზმიც, და მარტო მე კი არა, მთელი მეცნიერნი ამ აზრისანი არიან. ასე რომ არ იყოს „შინაურის მიმოხილვის“ ავტორის თეორიის და ცხოვრების შორის წინააღმდეგობას ვნახავდით. მცხოვრებში ჩვენ ვხედავთ არა მარტო თავ-მოყვარეობას, სხვის გლეჯას და ცარცვას, არამედ გულ-შემატკივრობასაც და შველასაც. ჩვენ არ ვამბობთ, რომ „ბრძოლას თავის დაცვისთვის არა ჰქონდეს გავლენა ამ ალტრუიზმის გაღვიძებაზედ, მაგრამ ამ ბრძოლასაც არ შეიძლება სრუ... ლიად მიეწეროს“. ან რათა ჰგონ... „შინაურის მიმოხილვის“ მწერალ... რომ ბრძოლა თავის დაცვისთვის მარ... ტო ეგოიზმს ჰბადებდეს და არ ებმ... რებოდეს სოციალურის გრძნობ... გაღვიძებას? ჩვენ ქვემოთ მოვიყვან... ორიოდე მაგალითს, რომ ბრძოლ... თავის დაცვისთვის იქნება არა-მარტ... პიროვნული, არამედ სოციალურ... და ამ სოციალურს ბრძოლას ჩვე... ვხედავთ ადამიანთ გარდა პირუტყვე... შორისაც. აქ შევნიშნავთ მხოლოდ... რომ რაც ცხოვრება ზევითა და ზ... ვით იწევს, იმდენად პიროვნულ... ბრძოლა უგდებს ადგილს სოცი... ლურს.

კაცს რომ არ ჰქონდეს სამშობ... ლოს და თავის ხალხის სიყვარულ... შეუძლებელია. აი რათა: როგორ... ჩვენ ვხედავთ მარტო იმ ცხოველებ... დედა-მიწაზე მოსიარულეთ, რომელ... ნიც შეჰფარდებიან გარე შემოხვევ... მოელენათ და მიუღიათ ის თვისებ... ნი, რომლებიც მათთვის სიცოცხლ... დაცვისთვის გამხდარან უსაჭიროესნ... აგრეთვე ჩვენ ვხედავთ მცხოვრებლ... ბად მარტო იმ ხალხებს და თემებ... რომელნიც მცირედაც არის შეჰფე... ვიან სოციალურს ცხოვრებას, ე. ი. ... იციან, დროსა და დროს თავიან...

თვალთ-მაქცის ფული ჩაყლაპა და გაფრინაო.

ფოთიდამვე საჩივარს იწერებიან იქაურ რკინის ხიდზე: ისე დაძველებული და გაფუჭებულია ამ ხიდის ფიცრები, რომ ქვევითსაც კი უჭირს გავლაო, ამას წინათ ერთ ფაეტონის ცხენს ფეხი ჩაუვარდა და ფაეტონი დაამტრიაო.

* * *

ჩვენ მივიღეთ შემდეგი შენიშვნა:

„აქნობამდისაც უნდა მომეხსენებინა ეს მცირე შენიშვნა, მაგრამ დღემდის ვერ მოვახერხე, სხვა-და-სხვა გარემოებების გამო, და ეხლა კი თითქმის დავიწყებული მომაგონა თქვენმა პატივცემულმა გაზეთმა:

„პეტერბურღის არხეოლოგიურ ინსტიტუტში წაუკითხავს ბარონ ზინცბურგს თავის შენიშვნები კავკასიის ზოგიერთა ნაშთთა შესახებ. ბარონ ზინცბურგს დაუვლია ალაზნისა და ირონის ხეობა და ამბობსო, ამ მხარეებში ბევრი და შესანიშნავი არხეოლოგიური ნაშთები არისო საქართველოს ძველ დროებისაო, მაგრამ, საუბედუროდ, ამ ჟამად კაცი ყურადღებას არ აქცევსო, ძველ სახლებსა, კედლებსა და მონასტრებს ანგრევენ, ქვებს აცლიან და ახალ შენობებს აგებენო.

„ამ უკანასკნელი სიტყვის დასამტკიცებლად მე მოგახსენებთ ერთ მაგალითს, რომლიდამაც დაინახავთ—თუ რამდენათ ჭეშმარიტია ბ. ბარონ ზინცბურგის სიტყვა, რომ ჩვენ ყურადღებას არ ვაქცევთ ჩვენს ძველს ნაშთებს და მონასტრებს ჩვენის ხელითვე ვანგრევთ.

„მე, როგორც ეკლესიის კანკლის ხელოსანს, შარშან მომიხდა იმერეთში ყოფნა სოფელ მათხოჯში, რომელიც დაბა ხონიდამ ოთხი ვერსის სიშორეზედ სძევს ცხენის-წყლის პირზე და რომლის მცხოვრებს დიდის წვალებისა და მეცადინეობის შემდეგ აუშენებიათ ახალი ეკლესია. ძველი კი, დაცვისა და გაახლების ნაცვლად, რკინის წერაქვით დაუნგრევიათ. შემოუნგრევიათ მისი მშვენიერი ჩუქურთმით ნაკეთები ქვები. ვისი ნებართვით—ამისი რა მოგახსენოთ.

„ეს ძველი ეკლესია დღესაც დგას, თუმცა რამდენიმე ნაწილი ჩამოუნგრევიათ, მაგრამ წინა პირი მთლად დარჩომილია დერეფნით, დასავლეთის კარების მარჯვენა კედელზე ხუცური წარწერა კარგა გარკვევით ეტყობა, მაგრამ, სამწუხაროდ, ხუცურის უცოდინარობის გამო, ვერც მე გადმოვსწერე და ვერც სხვა ვიშოვე ვინმე, რომ ამოეკითხა. ერთმა ამ სოფლის მცხოვრებთაგანმა მითხრა, რომ ამ ძველ ეკლესიას გვევაჭრება ერთი სოფელიო, რომ დანარჩენი ქვები მივჰყიდოთო.

„იმედია იმერეთის ყოვლად-სამღვდელო პატივცემული გაბრიელ ეპისკოპოზი ყურადღებას მიაქცევს და აუკრძალავს როგორც ამ ეკლესიის დარღვევას, ისეც სხვაგან. და თუ ნებას მისცემს დარღვევისას, იმის ზედწარწერებს და შესანიშნავ ჩუქურთმიან ქვებს მაინც შეანახვინებს.

„რასაკვირელია, ამისთანავე ყურადღება უნდა მიქცეულიყვეს ქართლში და კახეთში“.

გლეხი.

# უცხოეთი

(გაზეთებიდან)

**ოსმალეთი**, მინისტრთა რჩევაში მოლაპარაკება იყო, რომ საჭიროა ომისათვის მოვემზადოთო; სამინისტრო კიდევ მალე შეიკრიბა, რომ მოილაპარაკოს მატერიალურ საშუალების მოძებნაზე, რადგან ძალიან ცოტა ფული აქვს ხაზინასაო.

— ვენის გაზეთებში იწერებიან: სტამბოლში აღკრძალეს გაზეთი „ვაკითის“ გამოცემა, მაგრამ ისევ მალე დართეს ნება. სულთანის ბრძანება, რომ ხელ-ახლას გამოვიდეს გაზეთი, მოარბენინა რედაქციაში თვითონ ბეჭდის საქმეთა უფროსმა. ეს მოხდა პარასკევს. სულთნის ირადეში (ბრძანებაში) ეწერა, რომ გაზეთი უნდა გამოვიდეს უსათუოთ ჩვეულებრივ, ე. ი. შაბათს დილითო. რედაქტორმა მადლობა მოახსენა უფროსს, მაგრამ ამასთანავე მოახსენა, რომ რადგან არცერთი ასოს ამწყობი არ მოიპოვება სტამბაში, ამისათვის ხვალ გაზეთის გამოსვლა შეუძლებელიაო. ბეჭდის საქმეთა უფროსმა მაშინვე გაგზავნა კაცები; მოაყვანინა თანამშრომლები, ამწყობნი და თვითონ შუალამემდის მუშაობდა და ეხმარებოდა, ასე რომ სულთნის ბრძანება და სურვილი შესრულდა. ეს დავიდარაბა სულ იმიტომ ასტყდა თურმე, რომ სულთნის დაუკითხავად აღკრძალეს „ვაკითის“ გამოცემა. „ვაკითი“ ლიბერალური პარტიის გაზეთია.

—

**სერბია.** ახალი კოროლი მილანი კარგს მდგომარეობაში ვერ არისო, ამბობს ერთი პარიჟელი გაზეთი. მთელი სახელმწიფო განიყო ორ პარტიათ; ორივე ცდილობს ჩაიგდოს ხელში სამინისტრო და მართველობა: გამოჩენილი მიტრაპოლიტი მიხაილი გადააყენეს; მილანმა არ იცის რომელი მხარე დაიჭიროს: ავსტრიას თუ მიეკედლოს, მთელი სერბიის თანაგრძნობას დაჰკარგავს და თუ რუსეთს, ავსტრიის ეშინიან. ამნაირად ორ ცეცხლს შუაა. თვითონ მილანი ამ ჟამად უფრო საჭიროებს ავსტრიის მეგობრობაში, რადგან ამის იმპერატორთა სალაროში ინახება სერბიის ძველი მეფეების გვირგვინი, რომლითაც მილანს ჰსურს დაგვირგვინდეს, არ იცის როგორ მოითხოვოს ეს გვირგვინი: ომით ვერას გააწყობს და თუ ხვეწნით გამოიტანა, მაშინ ავსტრია ისეთ პირობებს მოსთხოვს სამაგიეროთ, რომ სერბიისათვის ძნელი აღსასრულებელი იქნება და ხალხიც დიდ უთანხმოებას გამოაცხადებს.

## ტფილისის სამკურნალო

ავათმყოფები მიიღებიან დილის რვა საათიდამ თორმეტ საათამდის.

**ორშაბათს** გარალევიჩი და ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი ძარღვების სისუსტის და შინაგან ავათმყოფობისა.

**სამშაბათს.** მინკევიჩი—ხირურგიული ავათმყოფობისა; ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა;

---

პიროვნულის სარგებლობის დათმობა საზოგადოების სარგებლობის წინაშე, იციან ერთმანეთის ხელის მიწვდენა და მხარ-და-მხარ სიარული ჭირ'ში თუ ლხინ'ში.

ამისთვის ბრძოლას დაცვისთვის უწინარესვე ისტორიულის ცხოვრებისა უნდა გამოეწვია ხალხებში მეორე გვარი ბრძოლაც—ზოგადი და მასთან შეკავშირებულიც მოძმეთ სიყვარული. ის ხალხი, რომელიც მოკლებულიც იქნებოდა ამ მოძმეთ სიყვარულსა, უნდა გამქრალიყო დედამიწის პირზედ, რადგანაც არ შეეძლო ბრძოლა გაეწია და თავი დაეცვა იმ ხალხებიდგან, რომელთაც ეს ძმური მოქმედობა ექნებოდათ. მაშასადამე თვით ეს ბრძოლა თავის დაცვისთვის თხოულობს, რომ კაცს ჰქონდეს თავმოყვარეობის გარდა სხვის-მოყვარეობაც. ამისთვის, როგორც ამბობს სპენსერი, მამულის სიყვარულის გრძნობა იზრდებოდა იმ გარემოების წყალობით, რომ დედამიწიდგან ჰქრებოდნენ ის ხალხნი, რომელთაც ეს გრძნობა სუსტად უცემდათ და იჭერდნენ ისინი, ვისაც უფრო ანთებული ჰქონდა გულში მამულის და მოძმეთ სიყვარული.

ეს გრძნობა ისე დიდად არის გამჯდარი ცხოვრებაში, რომ მას ჩვენ თითქმის ყოველ-გვარს პირუტყვთ სამეფოებშიაც კი ვპოულობთ, თორემ ადამიანებში ვის შეუძლიან უარ-ჰყოს ეს. ცხოველები იკრიფებიან ჯოგებათ თავის დაცვისთვის მტრისაგან, ეცემიან ერთად მტერს, რომელიც ყველა მათგანზე სათითაოდ ძლიერია, და ერევიან. ჰეტრი თავის თხზულებაში „Психическая жизнь животныхъ“ ამბობს:

„როდესაც გამოჰყავთ გაპობილის ტოპორიკი კლდიდამ, სადაც ეს ფრინველები გუნდ-გუნდად სცხოვრებენ, მეორე მისი მეზობელი ეჭიდება ბოლოზედ, რომ შეიმაგროს და არავის არ გაატანოს თავისი ამხანაგი; ამას კიდევ მესამე ეჭიდება, მესამეს-მეოთხე და სხ. ასე რომ მთელი გუნდი უნდა გამოიყვანოს კაცმა, ერთს რომ ხელი წაავლოს. მერცხლები ცდილობენ გაანთავისუფლონ დაჭერილი ამხანაგი, შველიან ერთმანეთს ბუდის შენობაში და სხ.“

ამ მაგალითებს, რომ არ გაჰყვეთ „დედა-ენაშიც“ კი სწერია, რომ „ფუტკარიც კი მარტო თავისთვის არა ზრუნავსო“ და არ ვიცი ეს უკეთილშობილესი გრძნობა ადამიანს რაღად გამოაკლო მწერალმა!

მისი თეორია, ანუ უკეთ ვსთქვათ დარვინის „ბრძოლა თავის დაცვისთვის“ გვიჩვენებს მარტო იმას, რომ კაცს ულორძინდება იმისთანა თვისებანი, რომელნიც საჭიროა თავის დაცვისთვის გარ-შემოხვეულს მავნებელი ბუნების ძალებისაგან. მაგრამ, რადგანაც ამ ბუნების დამონავება და გამოყენება თხოულობენ ადამიანთაგან ერთმანეთის ხელის მიწვდას, ამისთვის ადამიანთ ცხადლივ თუ არა მალვით და ფარულად მაინც უნდა ჰქონდესთ სოციალური ლტოლვილება (**ИНСТИНКТЪ**).

ამ თეორეტიულს მსჯელობას რომ თავი დავანებოთ და განვიხილოთ სხვა-და-სხვა ველურის ხალხების ცხოვრება, თანხმად მრავალთა მოგზაურთა, ვპოვებთ მათ შორის პატიოსნობას, სიმართლეს, დანდობას, შვილების სიყვარულს, ურთი-ერთ დახმარებას და არ ვიცი, „შინაურის მიმოხილვის“ მთხზველის აზრით, ჩვენ რაღათ უნდა ვიყვნეთ ამ გვარს გრძნობას მოკლებულნი. ეს სამშობლოს და თავის ხალხის სიყვარული რომ არა ჰქონდეს ყოველს კაცს, ჩვენ გაგვიჭირდებოდა იმ ფაქტის ახსნა, რომ აფრიკის უდაბნოდგან გამოყვანილი ნეგრი, ისევ იქით მიიწევს; რუსის სალდათი ჩვენის ქვეყნიდგან თავის ცივს ქვეყანაში მიილტვის; ის ფაქტი, რომ თხას ერთი თხა ურჩევნია ათას სულს ცხვარსა.

კიდევ ვიმეორებ, რომ ეს სამშობლოს და მოძმეთ სიყვარული აქვს ყოველს ადამიანს, მაგრამ ყველას ერთ ნაირად კი არა და ერთ ნაირად არ ესმის. აი ამისთვის არის საჭირო ამ გრძნობის გამოღვიძება კაცში, გასუფთავება და ჩაყენება იმ საზღვარში, რომელშიაც უნდა იდგეს—„შინაური მიმოხილვის“ ავტორის აზრით. ზოგს ეს გრძნობა იქამდის შევიწროებია, რომ მისი სამშობლო მისი სახლია და მისი ხალხი—მისი ოჯახის შვილნი; ზოგს თავის სამშობლოდ თავის წოდების კაცების მამული მიაჩნია და თავის მოძმეებათ ამ წოდების წარმომადგენელნი. ყველა რუსების სექტანტებს თითქმის თავიანთ სამშობლოდ მიაჩნიათ ის ადგილები, სადაც მათი თანა მორწმუნენი სცხოვრებენ, თავის ხალხადაც თავიანთ სექტანტები. ამისთვისაც ეჭირება მათს ვიწროს შეხედულებას მამულზედ და მამულის შვილზედ გაგანიერება.

ჭონი.

(გაგრძელება)

ზაზაევი და დანიელ-ბეგოვი — მარლევის სისუსტის და შინაგან ავათმყოფობისა.

ოთხშაბათს. ლისიცევი და მირამანოვი შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში — სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი — ბებიაობის ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ზაზაევი — მარლევის სისუს- ავათმყოფობისა.

ხუთშაბათს. ლისიცევი — შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში — სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი — ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ზაზაევი — მარლევის ავათმყოფობისა.

პარასკევს. მინკევიჩი — ხირურგიული ავათმყოფობისა; ლისიცევი, მირამანოვი და დანიელ-ბეგოვი — შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში — სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი — ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ზაზაევი — მარლევის სისუსტის ავათმყოფობისა.

შაბათს. ლისიცევი — შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში — სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი — ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ზაზაევი — მარლ. ს სუსტის ავათმყოფობისა.


# განცხადებანი

**დასყიდვა აღდგომამდის**

**ინგლისურ მაღაზიაში.**

ქუდები 1 მან., ფუფაიკები 2 მ. 50-დამ, შარვლები 4 მან. პიჯაკები 8 მან., მთელი კოსტიუმი 13—19 მან-მდი; დრაპი, მაუდი, ტრიკო, ჩითქები და ალბომები ნახევარ ფასად; ჩიზალალა 1 ხარისხისა — 70 კ. და ყიდკა — 1მ. 20 კ. გირვ. ტანისამოსის ჩითქები 30 კაპ. კრესლოები — ტახტები 10, 14 და 18 მან. — კოლმანის კრახმალი 17 კაპ. გირვ., ლეპიოშკები 2 კ., თეთრეულის გამოსარეცხი პარაშოკი — 5 კაპ. პაკეთი. ამ დღეებში მივიღებთ ყველს — ჩესტრ 60 კ. გირვანქა. ახალ-ახალი - წმინდა და ვერცხლის სანთლები — 35 და 42 კ. ინგლის. გირვ., ინგლის. და ფრანცუზ. რკინის ტახტები 10% იაფად ვინემ სხვაგან, ე. ი. საბავშვო 4 მან. და სადიდო 14 მანეთიდამ. (15—10)

**ინგლისის მაღაზიაში ახლად მიღებულია** დიდ ძალი ჩაი პირველი მოკრეფისა 30% უკეთესი, ვიდრე სხვაგან. **იქვე ისყიდება:** პარფუსინა 40 კაპ. დაწყებული; სტაქნები, ბაკლები 10 კაპ—დამ; პადნოსები 5 კ. —დამ, მურაბა და ალბომები ნახევარ ფასად და სხვ. (100—75)

სურამის და ხაშურის სტანციებში ისყიდება დიდ-ძალი დამწვარი კირი. ფასის შეტყობა შეიძლება სურამში ალექსანდრე აბაზაძისგან. (15—7)

დაიბეჭდა, გამოვიდა და ისყიდება თფილისის წიგნის მაღაზიებში

**იგავ-არაკნი**

კრილოვისაგან და სიბრძნე-სიცრუე-გან გადმოქცეული თ. რ. ერისთვისა.

# ისყიდება

15,000 თეფში 1 ხარისხისა, თითო 15 კაპ.

12,000 ბროლის სტაქანი თითო 25 კაპ.

10,000 ბაკალი და სტაქანი თითო 10 კაპ.

10,000 ფინჯანი და გასალევი თითო 15 კაპ.

10,000 ნევსი, 8 კ. 40-მდინ ასი.

10,000 პენალი თავის პრიბორით თითო 5 კაპ.

5,000 ბოთლი პორტვეინისა და ხერესის თითო 1 მან.

2,000 არშინი კლიონკა 60 კაპ. 2 მან. არშინი.

2,000 დიუჟინი ყარანდაში და ყალმის ხელი 8 კ. 50 კაპ. დიუჟ.

2,000 გირვანქა ინდოეთის ბრინჯი 7, 8, 10 კაპ. გირვ.

1,000 გირვ. თვალთ-მაქცი ლეპიოშკა 50 კაპ. გირვ.

600 ინგლისის რევოლვერი 4 მან. 34-მდი.

300 ინგლისის თოფი თითო 20—100 მან.

დრაპი, მაუდი, ტრიკო, ალბომები, საზამთრო პალტოები, ქუდები, შარვლები და ტანისამოსი ნახევარ ფასად. **ინგლისის მაღაზიაში.** (40—39)

**ლონდონის მაღაზია** კომერციულ-ბანკის ქვეშ დაარსებულია ნამდვილი ჩაის გასასყიდლათ პირველი მოკრეფილისა და საუკეთესო ინგლისური საქონლისა: მაგალითებრ: თოფებისა, რევოლვერებისა, კლიტეებისა, ჭურჭლებისა, კრავატებისა, დანებისა, კოვზებისა, ჩაინიკებისა, შოკოლადისა, კაკაოსი, დუხებისა, საპონისა, შხო კებისა, ცხვირ-სახოცისა, ქაღალდისა, კარანდაშებისა, კალმებისა, უნაგრებისა, სუკრისისა (გემრიელი კლემჩივინი ზეთისა) და სხვ. საავენტო მაკინტოშის მოსახურავებს გასასყიდლად კანფეტების და ბატკერის და კამპ. მურაბისა, აგრეთვე ჩულქებისა და წინდებისა ნოტინგამიდამ. ნამდვილი ჰავანას სიგარები. (100—91)

**განცხადება**

ამ დღეებში მიღებულია საუკეთესო ხარისხის თამბაქო და პაპიროსები ბათუმის „ფრანსუა ფერეიროს“ ქარხნიდამ.

ისყიდება მისადგომის ხიდზე და ქალაქის ვორონცოვის ქუჩაზე, რამაზოვის თამბაქოს დუქანში.

ვინც პარტიებად ყიდულობს, იმათ შეუძლიათ შეუკვეთონ მიხეილ მებურნუთოვს. (3—2)

დაიბეჭდა და ისყიდება ბრ. ჩარკვიანის ქართული წიგნის მაღაზიაში

**თამარ ტედოფალი**

შედგენილი

კ. ბ—შვილისაგან

გამოცემა

ზაქ. ჭიჭინაძისაგან

ფასი ერთი აბაზი.

აღდგომიდგან დაწყობილი პირველს ენკენის თვემდინ, ორი საათის ნაშუადღებიდამ, კვირაობით, ყველა პარიკმახერების მაღაზიები დაიკეტებიან, პარიკმახერებთა ამქრის გარდაწყვეტილებით ამას ვაცნობებთ საზოგადოებას. (3—2)

**თფილისის თავად-აზნაურთა სადგილ-მამულო ბანკის ზედამხედველი კომიტეტი,** წესდების § 82 მუხლის ძალით, მოიწვევს ამ ბანკის წევრთა ჩვეულებრივ საზოგადო კრებისათვის რომელიც იქნება აპრილის 29-ს ამა 1882 წელსა დილის 10 საათზე ბანკის სადგომში, სოლოლაკის ქუჩაზედ, თ. ირაკლი გრუზინსკის სახლში.

**განსახილველი საგნები:**

1). განხილვა გავლილ 1881 წლის ბანკის შემოსავალ-გასავლისა.

2). განსაზღვრა-თუ საზოგადო საჭიროებისათვის დანიშნული ფული ბანკის შემოსავლიდამ, რადა რა საგნებზე უნდა იქმნეს მოხმარებული.

3). განხილვა და დამტკიცება 1882 წელსა ბანკის გამგეობისათვის ხარჯთ-აღრიცხვისა.

4). მოხსენება ბანკის გამგეობისა იმის შესახებ—თუ რა შემწეობა შეუძლიან ბანკს აღმოუჩინოს გლეხებსა ადგილ-მამულის საკუთრებად შეძენაში.

5). აღმორჩევა ბანკის გამგეობის თავჯმჯდომარისა ახლანდელის თავჯმჯდომარის თ. ჭავჭავაძის მაგიერად. რომელიც რიგით უნდა გამოვიდეს გამგეობიდამ.

6). აღმორჩევა ზედამხედველ კომიტეტისა და დამფასებელ კამისიის წევრთა და ამ უკანასკნელთ კანდიტატებისა. (9—2)

# ძმ. აზოვიანცთა

**კანცელარიის და სამხატვრო საგნების მაღაზიაში**

მადათოვის ქუჩაზედ ალექსანდროვის ბაღის პირდაპირ

ეს-არის მიღებულია სამზღვარ გარეთიდამ მშვენიერი ხელოვნების

# ალბომები

ფოტოგრაფიის სურათებისათვის ფეხებზედ დგას, ფრიად კარგის ხარისხისა. (2—2)

# ისყიდება

**ბოლოს ფასებში**

25% ნაკლებ ფასად სხვა... ჩაი, კაკაო, შეკოლადი, ბისკვიტი, ... რაბა, ბრინჯი, ჭურჭლები, სტაქ... ბაკლები, თეფშები, ჩაინიკები, სუფრ... ბი, ფინჯნები, პირის-საბანი, კლი... ები, სამურკელი, ტანისამოსის საკ... კოვზები, დანები, კალმები, ქაღალ... კანვერტები, რვეულები, კარანდაშ... თოფები, რევოლვერები, კრაგები, ... ჩები, ვანები, ქამრები, საყელურები, ... ონკა, უნაგირები, ლაგმები, ... ტახტები, პირისახოცი, ცხვირის-სახო... ჩულქები, ტუალეტის საპონი, ... შარბათი, ციტმატმაგნეზია, ქინას ... ნო, პორტ-ვეინი, ხერესი, კონია... ათასი სხვ. რამეები, — **ინგლისის მაღაზიაში.** იქვე ჩაი ვაჭართათვის ... დათ: ფუთობით 40, 46, 52 და ... მან. და გირვანქობით: 1 მ., 1 მ. ... კ., 1 მ. 20 კ., 1 მ. 40 კ., 1 მ. ... კ., 1 მ. 80., და უპირველი ხარის... 2 მ. — წონა უქაღალდოთ.

თოფები 20—60 მან., ... (choke bore) George Dau-ს ... კიდამ—120 მან. რევოლვერები 4— ... მან. და ბულდოგისა 11—20 მ. ... უნაგირები 65 მან-დამ.; შეფილდის ... ნები ხანგლებით 3 მან. 50 კაპ. ... დუჟ., ალბომები ნახევარ ფასად, ... ტრები და სხვ.

ყველაზედ უმრავლესი ამორჩევა თო... ბისა და რევოლვერებისა თფილისში. (100—100)

ბრიქუროვის წიგნის მაღაზიაში (... ლის პირ-და-პირ) და ბ-ნი იოან... სიანთან (ოკრუჟნის სუდის ქვეშ...) ისყიდება წერა-კითხვის საზოგადოე... გამოცემა:

წითელი ფარანი, ფასი 15 კ.

ხატაური — — — 10 კ.


# ტაქსია

აკვებაკ ხორაგეულებათა, რომელნიც იყიდებიან თფილისის ბაზრებში, ... ნებში და დატარებით 1 მარტიდ... 1 აპრილამდის.

გამომცხვარი პური: ხორბლის ფქვილ...

| | | |
|---|---|---|
| პირველის ხარისხის | —1 გირ. | 5... |
| მეორის „ | —1 გირ. | 3... |
| მესამის „ | —1 გირ. | ... |

იმავე ფქვილ. თორნეში გამომცხვ...

| | | |
|---|---|---|
| პირველის ხარისხის | —1 გირ. | 6... |
| მეორის „ | —1 გირ. | 4... |

ჯვარის-მამის პური:

| | | |
|---|---|---|
| პირველ ხარის. ლავაში | 1 გირ. | 7... |
| მეორის „ „ | —1 გირ. | 5... |
| მესამის „ „ | —1 გირ. | 4... |

ძროხის ხორცი:

| | | |
|---|---|---|
| პირველის ხარისხის | —1 გირ. | 11... |
| მეორის „ | —1 გირ. | 9... |
| სუკი — — | —1 გირ. | 16... |
| ცხვრის ხორცი | 1 გირ. | 13... |

ღორის ხორცი:

| | | |
|---|---|---|
| პირველი ხარისხის | —1 გირ. | —... |
| მეორის „ | —1 გირ. | —... |

Дозволено цензурою. Тифлисъ, 20 Марта 1882 г. Типографія Меликова გამომცემელი ს. მელიქიშვილი. რედაქტორი ს. მეს...